ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 295 (18837) ᲙᲕᲘᲠᲐ, 25 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1983 ᲬᲔᲚᲘ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐᲞ.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

მართვის სისტემის სრულყოფისათვის, ეკონომიკური მუშაობის დონის ამაღლებისა და რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა მართვის სისტემის სრულყოფისათვის, ეკონომიკური მუშაობის დონის ამაღლებისა და რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობის საკითხი.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც ასრულებს პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის მითითებებს, მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფისათვის, ყველა სახეობის რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის.

რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციაში ფართოდ გამოიყენება ეკონომიკის ხელმძღვანელობის პარტიული მუშაობის სხვადასხვა ფორმები და მეთოდები, ხორციელდება ექსპერიმენტები, რომელთა მიზანია მართვის სრულყოფა, საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესება, წარმოების რეზერვების გამოვლენა და გამოყენება. აღრმავებენ ეკონომიკურ მუშაობას, უზრუნველყოფენ ძალების კონცენტრაციას ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკვანძო პრობლემებზე, აუმჯობესებენ სახელმწიფო გეგმების შესრულების კონტროლსა და ორგანიზაციას.

პარტიული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ავითარებენ მშრომელთა ინიციატივას, აძლიერებენ პარტიულ გავლენას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხებზე, ამაღლებენ საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის დონეს. დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კადრების თანამედროვე ეკონომიკური აზროვნების, სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტისადმი პოლიტიკური მიდგომის ჩამოყალიბებას.

ყოველივე ამან უზრუნველყო ბოლო წლების მანძილზე საქართველოს სსრ ეკონომიკის დაჩქარებული განვითარება, გაადიდა მისი საწარმოო პოტენციალი, გაზარდა წვლილი ქვეყნის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში.

ამასთან რესპუბლიკას აქვს ბევრი რეზერვი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და მისი ინტენსიფიკაციისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადებით მიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი შექმნილი საწარმოო და სამეცნიერო პოტენციალისა და შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობის გაზრდისათვის, საქონლის ხარისხის არსებითი გაუმჯობესებისათვის. კოლექტივების მეცადინეობა მოახმარონ მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმების, დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდების დავალებათა და ვალდებულებათა უთუო შესრულებას.

რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის კონსტიტუციის დებულებებით, „საშეურნეო წარმოების ზრდის დაჩქარებას, მეცხოველეობის მყარ განვითარებას, საკვები ბაზის განმტკიცებას მთის საძოვრებისა და სარწყავი მიწების უკეთ გამოყენებას, კოლხეთის დაბლობის ათვისების დაჩქარებას. საჭიროდ არის მიჩნეული გადიდდეს ჩაის, ხილის, ციტრუსების, ბოსტნეულისა და საადრეო კარტოფილის, მრეწველობის კვების დარგების პროდუქციის მიწოდება საერთო-საკავშირო ფონდში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას, შრომითი კოლექტივების სოციალისტურ შეჯიბრებას ნიადაგ წარმართავს ყველა სახეობის რესურსების მომჭირნეობისათვის. სრულდება უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნედლეულის, სათბობისა და ენერგიის დაზოგვის საგეგმო დავალებანი. გააქტიურდა მუშაობა მეორეული რესურსების შეგროვების, დამზადებისა და გადამუშავებისათვის.

საქართველოს სსრ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ყურადღება მიეპყრო იმას, რომ საჭიროა დაჩქარონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების, და უნარჩენო ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა, განაგრძონ ნედლეულის, მასალების, ენერგიის, ადგილობრივი რესურსების, ტყის მარაგის დაზოგვისა და რაციონალური გამოყენების რეზერვების ძიება.

საქართველოს რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაცია, რომელიც წყვეტს ეკონომიკის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ამოცანებს, ნიადაგ ზრუნავს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მომზადებული კადრებით განმტკიცებისათვის. მუშაკების დანიშვნის დროს ითვალისწინებენ პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების, შრომითი კოლექტივების აზრს. ძლიერდება ხელმძღვანელი მუშაკების პერსონალური პასუხისმგებლობა, წარმოებს მათი ატესტაცია. იხვეწება პარტიული კომიტეტების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ რესპუბლიკურმა პარტიულმა ორგანიზაციამ კვლავაც უნდა გაუმჯობესოს მეურნეობის ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები, განამტკიცოს დისციპლინა და წესრიგი წარმოებაში. თანამიმდევრულად განავითაროს შინაპარტიული დემოკრატია, სრულყოს პირველადი პარტიული ორგანიზაციების სტრუქტურა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაპყროს საწარმოო ბრიგადებში პარტიული გავლენის გაძლიერებას.

უზრუნველყოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების მიერ დასახულ ამოცანებთან იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის უფრო მჭიდრო კავშირი. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა უფრო გაბედულად გამოავლინონ ნაკლოვანებანი, დროულად და ნათლად წარმოაჩინონ პარტიული კომიტეტების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, შრომითი კოლექტივების დადებითი გამოცდილება.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲙᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲚᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

შეჯიბრების მეწინავენი

ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲬᲚᲘᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ 1983 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის მიერ წარდგენილი მასალები ამოქმედებისათვის გამლილი რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებად 1983 წლის 9 თვის შედეგების მიხედვით ცნეს:

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ხაზით № 1 და № 7 ტრესტები;

საქართველოს სსრ სახოფლო მშენებლობის სამინისტროს ხაზით № 4 ტრესტი და № 74 მძრავი მექანიზებული კოლონა, წითელწყაროს, ჩხოროწყუსა და ხაშურის საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციები;

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაზით — საწარმოო გაერთიანება „საქარამადნეული", ქარხანა „შროშა", სადახლოს მარმარილოს მაღაროთასამართველო, ეკლარის მარმარილოს მაღაროთასამართველო და სამთო და გეოლოგიური დაზვერვის სამუშაოთა სამმართველო;

„საქმთავარმონტაჟსპეცმშენის" მთავარი სამმართველოს ხაზით— ტრესტები „საქელექტრომონტაჟი" და „საქსანტექმონტაჟი", „თბომშენის" სპეციალური სამმართველო, თბილისის „მონტაჟთერმონაწარმის" სამმართველო, თბილისის „ფოლადკონსტრუქციის" სამმართველო, რუსთავის „ფოლადკონსტრუქციის" სამმართველო და ავტოტრანსპორტის სამმართველო;

სხვა სამინისტროებისა და უწყებების ხაზით — „საქკურორტმშენის" ტრესტი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის „ინგმშენის" ტრესტის №2 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო;

ჩამოთვლილი ორგანიზაციების გარდა გამარჯვებულად ცნეს გეგმოიჯარე და ქვემოიჯარე ორგანიზაციების კოლექტივები, რომლებიც მუშაობენ შემდეგი ობიექტების მშენებლობაზე:

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ხაზით—№ 2 ტრესტში — ხელური მოედანი საქართველოს სამხედრო გზის 126-ე კილომეტრზე, № 3 ტრესტში — სავაჭრო ცენტრი „ბავშვთა სამყარო", № 4 ტრესტში — ქალაქ ქუთაისის 1256 მოსწავლისათვის გათვალისწინებული სკოლა, ქალაქ ქუთაისის ქარხანა „ავანგარდი", № 10 ტრესტში — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელი, № 13 ტრესტში—სკოლა ვარკეთილის IV მიკრორაიონში, „სპეცმშენის" ტრესტში — წყალსადენი ნაგებობა კურორტ ბიჭვინთაში, ქალაქ ქუთაისის ახალი წყალსადენი;

საქართველოს სსრ სახოფლო მშენებლობის სამინისტროს ხაზით № 11 ტრესტში მეევნახის პროპაგანდის სახლი ქალაქ საგარეჯოში, № 2 ტრესტში—სანატორიული კომპლექსი „საქართველო" წყალტუბოში, №8 ტრესტში ქმა სოკოს საცდელ-საწარმოო კომბინატი. № 14 ტრესტში — მეცხოველეობის ფერმა სოფელ იდუმალაში, 624 მოსწავლისათვის გათვალისწინებული სკოლა.

სხვა სამინისტროების ხაზით — „საქჰიდროენერგომშენის" ტრესტში — 30-ბინიანი საცხოვრებელი სახლი დაბა ქსაწში, რომლის სარგებლო ფართობია 1513 კვადრატული მეტრი, 200-ადგილიანი საერთო საცხოვრებელი დაბა ხუდონში. (საქინფორმი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ა. ლ. ცაგარელის ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ᲒᲔᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ მეცნიერების განვითარებაში, მეცნიერული კადრების მომზადებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი არჩილ ლუკას ძე ცაგარელი დაჯილდოდეს **ხალხთა მეგობრობის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ᲘᲐ. ᲐᲜᲓᲠᲝᲞᲝᲕᲘ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ᲗᲐ. ᲛᲔᲜᲗᲔᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

მოსკოვი, კრემლი. 1983 წლის 23 დეკემბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურის კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ დასაცავად პატრიოტული მოღვაწეობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური კათალიკოს-პატრიარქი ილია II დაჯილდოდეს **ხალხთა მეგობრობის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ᲘᲐ. ᲐᲜᲓᲠᲝᲞᲝᲕᲘ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ᲗᲐ. ᲛᲔᲜᲗᲔᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

მოსკოვი, კრემლი, 1983 წლის 23 დეკემბერი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘ ᲓᲐ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ �თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘ ᲐᲬᲧᲝᲑᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲔᲡᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲫᲔᲓᲕᲜᲔᲑᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ.

ᲡᲔᲡᲘᲐ ᲒᲐᲛᲗᲠᲓᲔᲑᲐ 1983 ᲬᲚᲘᲡ 27 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲮᲓᲛᲝᲑᲐᲨᲘ (ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠ. 29). ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲓᲦᲔ 4 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲣᲞᲐᲚᲐᲙᲔᲑᲔᲜ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘ

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ

აგვირგვინებს დამკვრელური გარჯის ნაყოფი

მოწინავეთა მსარდამსარ

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ ახალ მშენებლობათა ხარაჩოებშია. მარტო გუდაუთის რაიონში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მეცხოველეობის კომპლექსის, პანსიონატების, სოფელ ლიხნში — კულტურის სახლის, 520-ადგილიანი ტურისტული ბაზის, საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.

გუდაუთის ახალ საცხოვრებელ რაიონში სოხუმის სახლთსაშენებელი კომბინატი აშენებს 90-ბინიან სახლს. აქ დასასრულს უახლოვდება შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოები.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: სოხუმის სახლთსაშენებელი კომბინატის მეამწე, კომუნისტი ფერიდა ავიძბა. მან სამი წელი იმუშავა ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობაზე, ახლა დამკვრელურად შრომობს გუდაუთში საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე.

Ი. ᲭᲮᲝᲜᲔᲚᲘᲫᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „საქტრანსექსპედიციის" კოლექტივმა ვადამდე შეასრულა მიმდინარე წლის გეგმა. რეალიზებულია 430 ათასი შეკვეთა — 45 ათასით მეტი, ვიდრე გათვალისწინებული იყო.

გაერთიანების განკარგულებაშია ასობით სატვირთო და სამგზავრო ავტომობილი. ყველა ავეჯის მაღაზიაში, ამიერკავკასიის რკინიგზის დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოების მექანიზებულ დისტანციებსა და საქართველოს სხვა საწარმოებში გაერთიანების წარმომადგენლებს მყიდველისათვის შინ მიაქვთ ნაყიდი ნივთები. გარდა ამისა, თბილისში, ბათუმში, სოხუმში, ქუთაისსა და სხვა ქალაქებში დაინერგა სახლის საშენი მასალების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების, აგრეთვე კონტეინერებითა და ბარგად მიღებული სხვა ტვირთის შინ მიტანა.

ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ!

გადაწყვეტილია 1984 წელს ცხინვალში გაიხსნას გაერთიანების ახალი განყოფილება, ათი პროცენტითა და მეტად გაიზარდოს მოსახლეობის მომსახურების მოცულობა და მნიშვნელოვნად ამაღლდეს კულტურა, შემცირდეს მომსახურების თვითღირებულება.

• • •

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ წლის გეგმა შეასრულეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა საწარმოო გაერთიანება „სოლანმა" და მახარაძის რაიკომბინატმა.

მახარაძის რაიკომბინატში განსაკუთრებით გამოირჩევა საამქრო, რომელიც აწარმოებს ბამბუკის პროდუქციას — ავეჯს, საოჯახო ნივთებს, სხვა საყოფაცხოვრებო ნაწარმს, მოსახლეობის ფართო მოთხოვნით რომ სარგებლობს.

„სოლანში" წარმატება ხვდა წილად დუშეთის უბანს, რომელმაც ადორძინა ხალხური რეწვა. აქ საგეგმო დავალებების მნიშვნელოვანი ნაწილი – შეასრულეს შინ მომუშავე ხელოსნებმა.

დამკვრელური ვახტის პატაკები

როგორც საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, ბოლნისის, გუდაუთის, გულრიფშის, ქედის, მცხეთის, სოხუმის რაიონების და ქ. გაგრის ზონის სოფლის მშრომელებმა, რომლებმაც ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება რესპუბლიკის საიუბილეო წელს, გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის ძირითად სახეობათა პროდუქციის მიყიდვის დავალებები.

ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ:

დამზადებულია 3040 ტონა ბოსტნეული, 52717 ტონა კარტოფილი, 2261 ტონა ხორცი, 520 ცენტნერი მატყლი.

Ქ. ᲒᲐᲒᲠᲘᲡ ᲖᲝᲜᲐ:

დამზადებულია 7359 ტონა ბოსტნეული, 2122 ტონა ხილი, 3275 ტონა ციტრუსი, 1119 ტონა თამბაქო, 2586 ტონა ხორცი, 3974 ტონა რძე.

ᲒᲣᲓᲐᲣᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ:

დამზადებულია 2601 ტონა ბოსტნეული, 3644 ტონა ხილი, 8417 ტონა ჩაი, 5102 ტონა ციტრუსი, 2495 ტონა ჩაი, 1596 ტონა თამბაქო, 1540 ტონა ხორცი, 1554 ტონა რძე, 579 ათასი ცალი კვერცხი.

ᲥᲔᲓᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡᲐ — 1586 ტონა ხილი, 986 ტონა ჩაი, 1002 ტონა თამბაქო, 527 ტონა რძე.

ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡᲐ — 14078 ტონა ბოსტნეული, 5089 ტონა ხილი, 1251 ტონა ხორცი, 2902 ათასი ცალი კვერცხი.

ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡᲐ — 698 ტონა თამბაქო, 1628 ტონა ბოსტნეული, 8585 ტონა ციტრუსი, 729 ტონა ჩაი, 1039 ტონა ხორცი, 686 ათასი ცალი კვერცხი.

(საქინფორმი).

ᲒᲣᲚᲠᲘᲤᲨᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ:

დამზადებულია 2153 ტონა ბოსტნეული, 5517 ტონა ხილი, 26409 ტონა ციტრუსი, 2892 ტონა ჩაი, 1765 ტონა თამბაქო, 1634 ტონა ხორცი, 1860 ტონა რძე, ორი მილიონი ცალი კვერცხი.

ᲥᲔᲓᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ:

დამზადებულია 3292 ტონა ხილი, 1351 ტონა ჩაი, 1103 ტონა თამბაქო, 563 ტონა რძე, 355 ათასი ცალი კვერცხი.

ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ:

დამზადებულია 18010 ტონა ბოსტნეული, 7050 ტონა ხილი, 1355 ტონა ხორცი, 3732 ტონა რძე, 5200 ათასი ცალი კვერცხი.

ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ:

დამზადებულია 764 ტონა თამბაქო, 2708 ტონა ბოსტნეული, 12983 ტონა ციტრუსი, 747 ტონა ჩაი, 1101 ტონა ხორცი, 1294 ათასი ცალი კვერცხი.

შეადარეთ ეს ციფრები:

1976-1980 წლებში საშუალოდ წელიწადში სახელმწიფოს მიჰყიდეს:

ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡᲐ — 1784 ტონა ბოსტნეული, 36783 ტონა კარტოფილი, 1960 ტონა ხორცი.

Ქ. ᲒᲐᲒᲠᲘᲡ ᲖᲝᲜᲐᲡ — 5941 ტონა ბოსტნეული, 1417 ტონა ხილი, 2782 ტონა ციტრუსი, 854 ტონა თამბაქო, 2482 ტონა ხორცი, 3429 ტონა რძე.

ᲒᲣᲓᲐᲣᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡᲐ — 1741 ტონა ბოსტნეული, 2595 ტონა ხილი, 6266 ტონა ჩაი, 4618 ტონა ყურძენი, 3278 ტონა ციტრუსი, 1322 ტონა ხორცი, 495 ათასი ცალი კვერცხი.

ᲒᲣᲚᲠᲘᲤᲨᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡᲐ — 1989 ტონა ბოსტნეული, 4755 ტონა ხილი, 12580 ტონა ყურძენი, 4676 ტონა ციტრუსი, 1566 ტონა ხორცი, 1252 ათასი ცალი კვერცხი.

ᲒᲣᲚᲠᲘᲤᲨᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ:

დამზადებულია 2153 ტონა ბოსტნეული, 5517 ტონა ხილი, 26409 ტონა ციტრუსი, 2892 ტონა ჩაი, 1765 ტონა თამბაქო, 1634 ტონა ხორცი, 1860 ტონა რძე, ორი მილიონი ცალი კვერცხი.

ᲥᲔᲓᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ:

დამზადებულია 3292 ტონა ხილი, 1351 ტონა ჩაი, 1103 ტონა თამბაქო, 563 ტონა რძე, 355 ათასი ცალი კვერცხი.

ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ:

დამზადებულია 18010 ტონა ბოსტნეული, 7050 ტონა ხილი, 1355 ტონა ხორცი, 3732 ტონა რძე, 5200 ათასი ცალი კვერცხი.

ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ:

დამზადებულია 764 ტონა თამბაქო, 2708 ტონა ბოსტნეული, 12983 ტონა ციტრუსი, 747 ტონა ჩაი, 1101 ტონა ხორცი, 1294 ათასი ცალი კვერცხი.

საარჩევნო კომისიების შექმნა

ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔ რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა თავიანთი ბრძანებულებებით დაამტკიცეს მოკავშირე რესპუბლიკებისაგან სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიების შემადგენლობები.

კომისიების თავმჯდომარეებად დაამტკიცეს: რუსეთის ფედერაციაში — ვ. ვ. პუშკარიოვი, მოსკოვის ვ. დ. კალმაკოვის სახელობის საანგარიშო-ანალიზური მანქანების ქარხნის მხრახავი, უკრაინაში — კიევის ქარხანა „კომუნისტის" მემონტაჟე ვ. ვ. შატილოვა, ბელორუსიაში — პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ნ. ნ. პოლოზოვი, უზბეკეთში —ტაშკენტის საფეიქრო კომბინატის მრთველი, სოციალისტური შრომის გმირი ბ. ჯურაევა, ყაზახეთში — ყარაღანდის მეტალურგიული კომბინატის საბრძედე საამქროს მთავარი მექანიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი ტ. ადამ-იუსუპოვი, საქართველოში — „ელმავალმშენებლის" თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის ელექტრომემანქანაჟეთა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი გ. ა. მეტონიძე, აზერბაიჯანში — „ალი ბაირამლის საბურღი სამუშაოების სამმართველოს ბურღვის ოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი ა. მ. ამანოვი, ლიტვაში — პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ა. ა. ფერენსასი, მოლდავეთში — რესპუბლიკის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი პ. პ. ბოცუ, ლატვიაში — რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ელექტრონიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორი, ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ე. ა. იაკუბატისი, ყირგიზეთში —ფრუნზეს სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის ბამბასართავი ფაბრიკის მხვეველი, სოციალისტური შრომის გმირი ს. ყულმატოვა, ტაჯიკეთში — „№14 სპეციალიზებული სამშენებლო სამმართველოს მებათქმეთა ბრიგადირი ს. საიდალიევი, სომხეთში —ერევნის ქარხანა „ალმასის" მოქა ზ. ვ. ხაჩატრიანი, თურქმენეთში— რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ო. გ. ოვეზგელდიევი, ესტონეთში — საწარმოო გაერთიანება „ტალექსის" ტალინის საფქვავტორო ქარხნის მექანიკური უბნის ხარატთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. რ. ლიივი.

(საკდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

ბრძანებულება

საქართველოს სს რესპუბლიკისაგან სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის 24-ე, 25-ე და 28-ე მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს სს რესპუბლიკისაგან სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

№ 658 თბილისის პირველი მაისის საარჩევნო ოლქი

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **წულაძე** მიხეილ ალექსანდრეს ძე — თბილისის პირველი მაისის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან;

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **მარზოიანი** არმენ ლევონის ძე — თბილისის ლენინის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **ბაგალიშვილი** ნორა ზაქარიას ასული — წითელი ჯვრის საზოგადოების თბილისის პირველი მაისის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ასლანოვი ივანე არმენაკის ძე — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

არჩაია თამარ გიორგის ასული — თბილისის სანტარაისა და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივისაგან;

გავრილო ემელიანე ივანეს ძე — თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი მეთაურთა საარტილერიო უმაღლესი სასწავლებლის პირადი შემადგენლობისაგან;

ლომიძე ნუნუ ალექსანდრეს ასული — თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებისაგან;

მოსიძე მანანა ვალერიანის ასული — არმის, ავიაციისა და ფლოტის ხელშეწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების თბილისის პირველი მაისის რაიონული ორგანიზაციისაგან;

მოძმანაშვილი გიგი გრიგოლის ძე — თბილისის ქარხანა „ცენტროლიტის“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

მუსელიანი მანანა ბიჭიკოს ასული — თბილისის თეთრეული ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანების მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ოზბეგაშვილი სოსლან ზურაბის ძე — თბილისის მეტროპოლიტენის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

რუნენკინი ვიქტორ ნიკოლოზის ძე — თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ტატანაშვილი ვლადიმერ მიხეილის ძე — თბილისის ლითონკონსტრუქციათა კომბინატის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

უსანეთაშვილი ლილი ივანეს ასული — თბილისის საპარფიუმერიო-კოსმეტიკური ფაბრიკა „ოვერიის“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

ფარცხალაძე გიორგი ნოდარის ძე — თბილისის № 2 მექანიკური ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

№ 659 თბილისის კალინინის საარჩევნო ოლქი

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ლომიძე** ზურაბ აკაკის ძე — თბილისის კალინინის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ჯოხაძე** ნუნუ გიორგის ასული — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის თბილისის კალინინის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **ჯავახიშვილი** ალექსანდრე დიმიტრის ძე — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის თბილისის კალინინის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

გოგიტიძე ნანა კონსტანტინეს ასული — თბილისის № 68 საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან;

გოგოლაძე ზაირა ზაურის ასული — თბილისის კერამიკული კომბინატის სამხატვრო სამკრეოს მუშა-მოსამსახურეებისაგან;

ვანიევი ოთარ აპოლონის ძე — თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

კარაპეტიანი ამალია ლევანის ასული — თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ამირანის“ მუშა-მოსამსახურეებისაგან;

კოკნაძე ვაჟა ივანეს ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კოლექტივისაგან;

მარქაროვა მარეხ სარქისის ასული — კალინინის რაიონული სატელეფონო კვანძის მუშა-მოსამსახურეებისაგან;

მაისურაძე ციალა გაბრიელის ასული — თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

მოდებაძე ლუბა ზაქარიას ასული — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის მუშა-მოსამსახურეებისაგან;

მუშკუდიანი თენგიზ ვარლამის ძე — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივისაგან.

ღვინიაშვილი თენგიზ კონსტანტინეს ძე — თბილისის სამხატვრო აკადემიის კოლექტივისაგან;

ღვინჯილია გონერი პეტრეს ძე — გაერთიანება „თბილქალაქმშენის“ № 14 ტრესტის № 9 სამშენებლო სამმართველოს მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ხელაშვილი მაია შოთას ასული — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის კოლექტივისაგან.

№ 660 თბილისის ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ლაღიძე** ნათელა ილიას ასული — თბილისის ორჯონიკიძის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **შუბითიძე** ეგვენი ექვთიმეს ძე — თბილისის საშენ მასალათა კომბინატის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **უთმელიძე** ეკატერინე ტარასის ასული — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის თბილისის ორჯონიკიძის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ანდრეევი პლატონ ლეონიდეს ძე — წალკის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან;

ბურდული ცირა თედორეს ასული — დუშეთის № 1 საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან;

გასანოვა ოფელია ქამილის ასული — გარდაბნის რაიონის კრწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისაგან;

გრძელიძე რევაზ კონსტანტინეს ძე — წითელი ჯვრის საზოგადოების თბილისის ორჯონიკიძის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ენუქიძე მაყვალა ალექსანდრეს ასული — თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას“ საცდელი ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

მანქანაშვილი ნანა გივის ასული — თბილისის ტყავგალანტერიის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებისაგან;

მოზგოვაია ანტონინა ივანეს ასული — თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „ბატრიონის“ მუშა-მოსამსახურეებისაგან;

ოძელაშვილი მიმოზა ვლადიმერის ასული — წყნეთის სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებისაგან;

ფირცხელაური მერაბ დიმიტრის ძე — ყაზბეგის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის მუშა-მოსამსახურეებისაგან;

ყარყარაშვილი რობიზონ არჩილის ძე — მცირე სიმძლავრის ელექტრომანქანების ტექნოლოგიის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ჩანტურია ალბერტ ალექსანდრეს ძე — ბორჯომის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან;

ჩიტაია ეკატერინე ალექსანდრეს ასული — ბორჯომის რაიონული ბიბლიოთეკა.

ჩოხელი ალექსანდრეს ძე — ბორჯომის რაიონული ბიბლიოთეკა.

ხუციშვილი ალექსანდრეს ძე — ბორჯომის ტყეთმოდებულობის სამმართველოს მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ცანავა ოფელია ქამილის ასული

პარტიული ცხოვრება: მიმდინარეობს კონფერენცია

ეთანამედროვეობის ზრუნვით

სსრ კავშირის სასურსათო პროგრამით ქუთაისელ მშრომელთა წინაშე დასახული უმნიშვნელოვანესი ამოცანა წარმატებით ხორციელდება: სრული სვლით მიმდინარეობს ავტომქარხნის რეკონსტრუქცია და გაფართოება. საწარმო ხმადება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ავტომატარებლის სერიული გამოშვებისათვის. ქარხნის კომუნისტები უნარიანად რაზმავენ ავტომობილმშენებლებს მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევისათვის. ასეთი შეფასება მიეცა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის პარტიული კომიტეტის მუშაობას საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის XXXIV კონფერენციაზე.

უდიდესი საწარმოს რეკონსტრუქციის სირთულემ პარტიულ კომიტეტსაც და საქალაქო კომიტეტსაც აღუძრა სურვილი გამოენახათ ორგანიზატორული მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები, აღნიშნა საანგარიშო მოხსენებაში პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა მ. ა. ასლანიკაშვილმა. პარტკომი და საქალაქო კომიტეტი, რომლებსაც უშუალო კონტაქტები აქვთ დამყარებული ავტომქარხნის განახლების მონაწილე მომაჯნავეთა პარტიულ ორგანიზაციებთან, ერთობლივი მეცადინეობით აღწევენ ოპერატიულობას, მეტწილ წამოჭრილ საკითხთა ამომწურავ გადაწყვეტას. პრაქტიკულად საწარმოს ტერიტორიაზე გაშლილი უდიდესი მშენებლობის თითოეული უბანი კომუნისტთა კონტროლს ექვემდებარება. მათი ინიციატივით ახალ სიმძლავრეთა ამოქმედება მიმდინარეობს საწარმოო კორპუსების მშენებლობის პარალელურად, რაც რეალურ წანამძღვრებს ქმნის ახალი მანქანების გამოშვების დაწყების მოახლოებისათვის.

ამავე დროს, აღნიშნეს მომხსენებელმა და კონფერენციის დელეგატებმა, ქალაქის ყველა პარტიულ ორგანიზაციაში როდი შეძლეს გარდაექმნათ მუშაობა დღევანდელობის მოთხოვნების შესაბამისად. მაგალითად, ქუთაისის მეელ რიგ სამრეწველო საწარმოებში არ არის სათანადო პარტიული გავლენა იქ, სადაც წარმოებაში უნდა ინერგებოდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები. პარტიული კომიტეტები სუსტად სწვდებიან საწარმოს ეკონომიკურ და ფინანსურ მდგომარეობას, კამპანიურად წყვეტენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს. ამასთან დაკავშირებით სერიოზულად გაკრიტიკეს კიროვის სახელობის, „გელათის“ სამკერვალო საწარმოო გაერთიანებების, ტყავფეხსაცმლის კომბინატის პარტიული ორგანიზაციები. ამ საწარმოთა შრომითს კოლექტივებში მკვეთრად გაუარესდა პროდუქციის ხარისხი, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი წუნიანია. წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტისადმი ცალმხრივ, არაკომპეტენტურ მიდგომას, საქმის ვითარების ზერელე ანალიზს ის მოჰყავ, რომ აღნიშნულ საწარმოებში ცუდად მიმდინარეობს საწარმოო პროცესების მექანიზაცია, აქ დიდია მძიმე ხელის შრომის წილი. მოწყობილობისა და ტექნოლოგიის ნელი განახლება მასობრივი მოთხოვნის საქონლის ასორტიმენტის ასევე ნელი განახლების მიზეზი გახდა.

პრინციპულად დაისვა კონფერენციაზე საკითხი წარმოებაში პარტიული კონტროლის გაძლიერების საჭირო ნაბიჯების შესახებ. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მინდობილი საქმისადმი ფორმალური დამოკიდებულება, ის, რომ პარტიის ამა თუ იმ წევრს ბოლომდე ვერ მიჰყავს ან არ სურს ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული საქმე, მნიშვნელოვან მორალურ და მატერიალურ ზარალად გვიჯდება. მაგალითად, №2 რკინაბეტონის ნაწარმის ქარხანაში შარშან აქტიურად იბრძოდნენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვ ის. მაგრამ დროთა განმავლობაში დიდმნიშვნელოვანი საქმე თვითდინებაზე მიუშვეს. საწარმოს პარტიულ ორგანიზაციას, რომელშიც 45 კომუნისტია, უკანასკნელი დროის მანძილზე პრაქტიკულად არც ერთხელ არ გახუხილავს კრებაზე ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესების საკითხები. ამის შედეგად აქედან უმნიშვნელოვანესი მშენებლობანი იღიბენ წუნდებულ პროდუქციას. საწარმოს კომუნისტთა შემრიგებლურ პოზიციას პარტიის საქალაქო კომიტეტმა პრინციპული შეფასება მისცა.

მთელი რიგი საკითხები, რომლებიც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს არა მარტო კონკრეტული საწარმოსა თუ ქალაქის, არამედ მთლიანად დარგის ინტერესებისათვის, კონფერენციის დელეგატებმა დასვეს სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის, სსრ კავშირის სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროთა წინაშე. მაგალითად, ქუთაისის მოტობლოკების ქარხანას კვლავინდებურად არ აძლევენ საჭირო კაპიტალდაბანდებებს, არ მუშავდება ესოდენ საჭირო მცირეგაბარიტიანი ტრაქტორებისა და მოტობლოკების წარმოების შესაბამისი ტექნოლოგია. საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს ზოგიერთი საწარმოსა და ორგანიზაციის მიზეზით საფრთხე ექმნება ავტომქარხნის რეკონსტრუქციის დაძაბული გრაფიკის შესრულებას.

გამოსვლებში აღინიშნა, რომ მთლიანად ქალაქის ინდუსტრია წარმატებით ართმევს თავს ხუთწლედის მესამე წლის დავალებებს. სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობამ ვადამდე შეასრულ ა წლიური დავალებანი და დაიწყო ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვება.

კონფერენციაზე სერიოზულად გააკრიტიკეს მომსახურების საქალაქო სფერო. მისი საქმიანობა, თქვეს დელეგატებმა, გავლენას ახდენს ადამიანთა განწყობილებაზე, განსაზღვრავს შრომის ნაყოფიერებას და, საბოლოო ანგარიშით, მთლიანად ამა თუ იმ საწარმოს მუშაობის მაჩვენებლებს. სწორედ ამიტომაც ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების პარტიულმა ორგანიზაციებმა თავიანთი ორგანიზატორული, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა უნდა წარმართონ გაზრდილი მოთხოვნილების გათვალისწინებით.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. ა. ჭითანავამ. (საქინფორმი).

დიმიტრი მჭედლიძე

ქართულმა საბჭოთა ხელოვნებამ მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა თვალსაჩინო მომღერალი და პედაგოგი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, 1951 წლიდან სკკპ წევრი დიმიტრი სიმონის ძე მჭედლიძე.

დიმიტრი მჭედლიძე დაიბადა 1904 წლის 14 იანვარს ზესტაფონის რაიონის სოფელ სვირში. დაწყებითი და საშუალო განათლება ქ. ქუთაისში მიიღო, რის შემდეგ დაადგა ვოკალური ხაოპერო ხელოვნების გზას. 1922 წლიდან იგი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტია, სადაც მეცადინეობს პროფესორ ე. კ. რიადნოვის კლასში, ამავე დროს ჩაბმული იყო ხაოპერო სტუდიის მუშაობაში, რისეულსაც კოტე მარჯანიშვილი და ივანე ფალიაშვილი ხელმძღვანელობდნენ.

განსაკუთრებული ვოკალურ-სცენური მონაცემების გამო დ. მჭედლიძე საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატმა სწავლის გასაგრძელებლად გაგზავნა ლენინგრადის „კონსერვატორიაში, სადაც მას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ხაოპერო სცენის გამოჩენილი ოსტატი ი. ვ. ერშოვი და პროფესორი პ. ზ. ანდრეევი. სტუდენტობის წლებშივე მას იწვევენ ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის ახალგაზრდულ ჯგუფში, სადაც ანდობენ ბანის მნიშვნელოვან პარტიებს. ერთდროულად მღერის ლენინგრადის კონსერვატორიის ხაოპერო სტუდიის სპექტაკლებშიც.

1938 წლიდან დ. მჭედლიძე სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტია. საბჭოთა კავშირის წამყვან ხაოპერო თეატრში იგი გამოჩენილი მომღერლების, დირიჟორების, რეჟისორების წრეში ტრიალებს და მათთან ურთიერთობა დიდად უწყობს ხელს დ. მჭედლიძის პროფესიულ ზრდას. ახალგაზრდა მომღერალს ანდობენ ისეთ მნიშვნელოვან პარტიებს, როგორიცაა მეფისჩვილი (დარგომიჟსკის „ალი“), ივანე მრისხანე და სალტან მეფე (რიმსკი-კორსაკოვის „ფსკოველი ქალი“ და „სალტან მეფის ზღაპარი“), კონჩაკი და გალიცკი (ბოროდინის „თავადი იგორი“), მეფისტოფელი (გუნოს „ფაუსტი“), დონ-ბაზილიო (როსინის „სევილიელი დალაჟი“), ვოტანი (ვაგნერის „ვალკირია“), ხენ-ბრი (მეიერბერის „ჰუგენოტები“), რენე (ჩაიკოვსკის „იოლანტა“), გუდალი (რუბინშტეინის „დემონი“) და სხვა.

დიდი თეატრის კოლექტივში, სადაც თითქმის 20 წელიწადს დაჰყო, დ. მჭედლიძემ დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, მას 1950 წლიდან დაეკისრა ხაოპერო დასისა და სარეპერტუარო ნაწილის გამგის მოვალეობა.

დიდი სამამულო ომის წლებში დ. მჭედლიძე თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე გამოდიოდა და აქტიურად მონაწილეობდა მის შემოქმედებითს ცხოვრებაში. იგი აქ ახრულებდა გრემინის (ჩაიოვსკის „ევგენი ონეგინი“), სობაკინის (რიმსკი-კორსაკოვის „მეფის საცოლე“), გალიცკის (ბოროდინის „თავადი იგორი“), მეფისტოფელის (გუნოს „ფაუსტი“), ცანგალას (ფალიაშვილის „დაისი“), ხოლეიმანის (იპოლიტოვ-ივანოვის „ღალატი“) პარტიებს. მონაწილეობდა ახალ ქართულ ოპერებში — ი. გოკიელის „პატარა ქალში“, ი. ტუსკიას „ხამშობლოში“, შ. მშველიძის „ამბავი ტარიელისა“. სწორედ ამ წლებში მან თბილისში განახორციელა ბორის გოდუნოვი მუსორგსკის სახალხო მუსიკალურ დრამაში, რომელიც დ. მჭედლიძეს, რრგორც მომღერლისა და მსახიობის, უმნიშვნელოვანესი მიღწევა იყო.

1952 წლიდან დიმიტრი მჭედლიძე თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირეტორი და სამხატვრო ხელმძღვანელია. ამ მოვალეობას დ. მჭედლიძე, მცირე შუალედის გამოკლებით, თითქმის 20 წლის მანძილზე ეწეოდა და ამ პერიოდთანაა დაკავშირებული თეატრის მრავალი მიღწევა. დ. მჭედლიძე განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა ახალგაზრდა მომღერალთა მიმართ. მნიშვნელოვანი: დვაწლი, რომელიც დ. მჭედლიძემ დასდო ქართული ეროვნული ხაოპერო და სახალეტო რეპერტუარის გამდიდრებას. დიდი და შეუპოვარი ორგანიზატორული მუშაობა გასწია მან ქუთაისის ფილიალის გახსნისათვის და მისი ამაგი ამ მამულიშვილურ საქმეში ბეშმარიტად ფასდაუდებელია. თავის ორგანიზატორულ საქმიანობას დ. მჭედლიძე უთავსებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის კონსერვატორიაში, სადაც 1954 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშობდა როგორც სოლო სიმღერის კათედრის პროფესორი და ჩვეული ენთუზიაზმითა და თავდადებით ამზადებდა ოპერის მომღერალთა საიმედო ცვლას. ვოკალური ხელოვნების დარგში ეწეოდა სამეცნიერო მუშაობასაც, — მას ეკუთვნის თეორიულ-მეთოდიკური შრომები, აგრეთვე პოპულარული ხასიათის ნარკვევები, რომლებიც გამოქვეყნებულია წიგნებისა და წერილების სახით.

დ. მჭედლიძე სამჯერ იყო არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრად, მრავალი წლის მანძილზე იყო საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრი, ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა სამხედრო-საშეფო კომისიაში.

პარტიამ და სახელმწიფომ ღირსეულად დააფასეს დიმიტრი მჭედლიძის ღვაწლი. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის, ორი შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

ჩვენგან წავიდა ვალმოსდგომელი ხელოვანი, შესანიშნავი პიროვნება და აღმზრდელი. დიმიტრი მჭედლიძის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მადლიერი ქართველი ხალხის გულში.

ე. ა. შეევარდნაძე, გ. დ. გაგუნია, გ. ნ. ენუქიძე, ო. ე. ჩერქეზიანი, ნ. შ. ჯანგირიძე, ო. ვ. თაკთაკიშვილი, ა. ა. დვალიშვილი, გ. შ. ორჯონიკიძე, ნ. ვ. დუმბაძე, ე. ვ. ამაშუკელი, ე. ნ. შენგელაია, დ. ა. ალექსიძე, ი. ს. კოზლოვსკი, ა. გ. ლისიციანი, ვ. ო. რეიზენი, ვ. ი. ანჯაფარიძე, ზ. ი. ანჯაფარიძე, ი. გ. გამრეკელი, ზ. ვ. მაჩარაძე, ს. თ. ცინცაძე, ნ. დ. ანდღულაძე, ჯ. ი. კასიძე, ნ. ა. ფვანია, გ. დ. ჯაფარიძე, ბ. ა. კოგანიძე.

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი 50 წლისაა

რესპუბლიკის საზოგადოებრიობამ აღნიშნა ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსების 50 წლისთავი. ამ მოვლენის გამო ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართა სიიუბილეო სხდომა, რომელიც გახსნა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა მ. ა. ასლანიკაშვილმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგემ ა. პ. საყვარელიძემ წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის წერილი ინსტიტუტის კოლექტივისადმი.

იუბილარს მიესალმნენ რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების, პარტიული და საბჭოთა ორგანოების წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, წარმოების მოწინავენი და სტუდენტები.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა დ. ი. ჩხიკვიშვილმა უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივს გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

მოხსენება გააკეთა უმაღლესი სასწავლებლის რექტორმა პროფესორმა ო. მ. ბაკურაძემ.

ილაპარაკა რა უმაღლესი სასწავლებლის შექმნის ისტორიაზე, მან აღნიშნა, თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ საქმეში თბილისის უნივერსიტეტს. ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ასწავლიდნენ ივანე ბერიტაშვილი, დიმიტრი უზნაძე, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე და სხვა გამოჩენილი ქართველი მეცნიერები.

უმაღლესმა სასწავლებელმა დიდი როლი შეასრულა პედაგოგიური კადრებით დასაკმაყოფილებლად საქართველოს სასწავლებლების უზრუნველყოფაში. ორმოცდაათი წლის მანძილზე აქ მომზადდა 27 ათასი სპეციალისტი. ახლა ხუთ ფაკულტეტზე პედაგოგის 16 სპეციალობას ეუფლება ათი ათასზე მეტი სტუდენტი.

დღეს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი რესპუბლიკის ერთერთი უდიდესი სასწავლო და სამეცნიერო ცენტრია. წელს იგი ზედიზედ მესამედ გახდა უმაღლესს სასწავლებლებს შორის გაშლილი რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებული. (საქინფორმი).

დღესასწაულოგენ ენერგეტიკოსები

საქართველოს ენერგეტიკოსები წარმატებით ასრულებენ მიმდინარე წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებებს. მათ ბევრი რამ გააკეთეს დარგის განვითარების ინტენსიფიკაციისათვის, მისი ეკონომიურობის ამაღლებისათვის. შენდება არა მარტო ახალი ელექტროსადგურები, არამედ ახლდება კიდეც მოქმედი მოწყობილობა, უმჯობესდება რემონტის ხარისხი, იხვეწება საექსპლოატაციო რეჟიმები, მცირდება ქსელებში ელექტროენერგიის დანაკარგები. ენერგეტიკის პოტენციალის შემდგომი ზრდის გზების შესახებ ილაპარაკა თავის მოხსენებაში „საქმთავარენერგოს“ სამმართველოს უფროსმა ი. ე. ჭედიამ ენერგეტიკოსის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე, რომელიც თბილისში გაიმართა.

კრებაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ი. ვადაჭკორია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნაყოფფილებათა გამგეები ნ. შ. ენდელაძე, ტ. ვ. ლორთქიფანიძე და ბ. დ. მახარაშვილი.

(საქინფორმი).

სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების გადაცემა

23 დეკემბერს მოსკოვში გაიმართა ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის, დარგის 1983 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის გადაცემა. საზეიმო ცერემონიალზე კრემლის სვეტლოვის დარბაზში შეიკრიბნენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, კულტურის მოღვაწენი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ვ. მარკოვმა მიულოცა ლაურეატებს და უსურვა მათ შემოქმედებითი წარმატებანი მრავალეროვნული საბჭოთა კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის მოღვაწეებმა, რომლებსაც პრემიები მიენიჭათ, გულითადი მადლობა გადაუხადეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას თავიანთი შრომის მაღალი შეფასებისათვის და აღუთქვეს, რომ კვლავაც მთელ ძალ-ღონეს და ნიჭს მოახმარენ ჩვენი დიადი ეპოქისადმი, თანამედროვეთა საგმირო საქმეებისადმი მიძღვნილ ნაწარმოებთა შექმნას. (საკდესის კორ.).

●●

დაფასებული ღვაწლი და შრომა

სტუდენტი, კლინიკის ორდინატორი, ასპირანტი, პროფესორი, ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შემქმნელი და უცვლელი ხელმძღვანელი, რესპუბლიკის მთავარი თერაპევტი — ასეთია ნოდარ ნიკოლოზის ძე ყიფშიძის ცხოვრების გზის ძირითადი ეტაპები.

აი თითქმის ორმოცი წელია იგი დგას ადამიანთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე, აქტიურად უწყობს ხელს საბჭოური მედიცინის პროგრესს. მას გამოქვეყნებული აქვს 300-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი მოიკარდის ინფარქტის, გულის იშემიური დაავადებისა და კუჭის წყლულის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის დარგში, მოამზადა ათობით მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი. ნ. ნ. ყიფშიძე საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატია. იგი არის ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გულსისხლძარღვთა დაავადებების შემსწავლელი კომიტეტის სამეცნიერო ექსპერტი, ევროპის მთელი რიგი ქვეყნების კარდიოლოგთა საზოგადოების საპატიო წევრი.

მედიცინის მეცნიერების განვითარებაში, სამეცნიერო კადრების მომზადებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ამს. **ხუტა ნიკოლოზის ძე ჯიჭია** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით

პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ამს. **ხუტა ნიკოლოზის ძე ჯიჭია** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

24 დეკემბერი

უფლება

ფაქტები მოვლენები საკლესი იუწყება

● **უნგრეთი**

სახელმწიფო კრების სესია

ბუდაპეშტი. აქ გაიმართა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების მორიგი სესია. სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. კადარი, რესპუბლიკის სხვა პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელები.

უნგრეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატებმა მიიღეს კანონი საზოგადოებრივი და ეკონომიკური განვითარების ახლანდელი ეტაპის მოთხოვნების, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილების ცვლილებების შესაბამისად უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციაში ზოგიერთი შესწორების შეტანის შესახებ.

სესიამ დაამტკიცა ახალი კანონი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრებისა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ. მის განხილვაში ფართოდ მონაწილეობდნენ უნგრელი მშრომელები, რომლებმაც 25 ათასამდე შენიშვნა და წინადადება წამოაყენეს. მიღებული კანონი უზრუნველყოფს სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ განვითარების, სახალხო ხელისუფლების გამმტკიცების საჭირო წანამძღვრებს.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრებამ განიხილა და მიიღო 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. იგი მიზნად ისახავს განაზორციელოს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XII ყრილობისა და მეეექვსე ხუთწლედის გეგმით დასახული ამოცანები.

სოციალისტური უნგრეთი კვლავაც განავითარებს თანამშრომლობას საბჭოთა კავშირთან, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში და ორმხრივ საფუძველზე.

● **აშშ**

ქვეყანაზე ქვირი ნაქმისხვ

ვაშინგტონი. სად დგას ამჟამად შეერთებულ შტატებში ყველაზე ძვირი ნაძვისხე? არა ნიუ-იორკის „როკფელერ-პლაზის“ მოედანზე, თუმცა ეს ნაძვისხე ყველაზე მაღალია ამერიკაში, და არც თეთრი სახლის სამხრეთ ფასადის პირდაპირ, სადაც ტრადიციისამებრ დგას ხოლმე „ქვეყნის მთავარი ნაძვისხე“.

„ნაძვისხე“, რომელიც კაპიტოლიუმის ბორცვზე სენატის 342-ე ოთახში დგას, მცირე ზომისაა — სულ მეტრნახევარი სიმაღლე აქვს. თუმცა შეფასებულია... 100 ათას დოლარად. საქმე ის არის, რომ მასზე დაკიდებული „სათამაშოები“ პენტაგონშია დამზადებული. ეს არის უახლესი სისტემების იარაღის კომპონენტები, რომლებსაც ამერიკის სამხედრო უწყება დაჩქარებით აწარმოებს. წარუდგინა რა „ნაძვისხე“ ჟურნალისტებს, სენატორმა უ. როტმა განმარტა, რომ მან უნდა ცხადყოს, თუ რა ძვირად უჯდებათ ამერიკელ გადასახადის გადამხდელებს თეთრი სახლის მეერ გაჩაღებული გამალებული შეიარაღება.

თითოეულ „სათამაშოს“ აქვს საფასური. ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ჭანჭიკი... 1000 დოლარი ღირს, მასზე არანაკლებად ჩვეულებრივი ქანჩი—2000 დოლარი, ლითონის წვრილი მავთულის ყოველი დიუმი, „ნაძვისხეზე“ სერპანტინად რომ არის გამოყენებული, 2000 დოლარზე მეტი ღირს.

პრესკონფერენციაზე არ უთქვამთ, მიიწვევენ თუ არა უჩვეულო „ნაძვისხეზე“ კონგრესში თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს. მაგრამ ეჭვი არ არის, რომ სამინისტროს შეფს კ. უაინბერგერს მისი ხილვა ფოუოდ ღიმეა. ბარბაროსული იარაღის უახლესი სისტემები სუკეთესო საახალწლო საჩუქარია ახლანდელი ვაშინგტონელი ოშის გამჩაღებლებისათვის.

● **სალვადორი**

ტერორის მსხვერპლნი

სალვადორის **რეჟიმი** **აძლიერებს** **რეპრესიებს** **სამოქალაქო მოსახლეობის** **წინააღმდეგ.** **როგორც** **სალვადორის** **კათოლიკური** **ეკლესიის** **ადამიანის** **უფლებათა** **დამცველი** **ჯგუფი** **იუწყება,** **ამა** **წლის** **პირველ** **ცხრა** **თვეში** **სალვადორში** **მძვინვარე** **ტერორის** **შედეგად** **4.110** **კაცი** **დაიღუპა.**

სურათზე: **სადამჯელო** **ოპერაციის** **შემდეგ.**

კამერა **პრეს-საკდესის** **ფოტო.**

● **თურქეთი**

საფიფი გეგმები

ანკარა. **უკანასკნელ** **ხანს** **თურქეთის** **პრესაში** **გაჩნდა** **ცნობები,** **რომ** **ამერიკის** **შეერთებულ** **შტატებს** **განზრახული** **აქვს** **დასავლეთ** **ევროპის** **მთელ** **რიგ** **ქვეყნებში** **მიმდინარე** **ამერიკული** **საშუალო** **სიშორის** **რაკეტების** **განლაგების** **დამატებით** **დააყენოს** **ფრთოსანი** **რაკეტები** **თურქეთის** **ტერიტორიაზე.**

ამ ცნობებმა სერიოზულად შეაშფოთა ქვეყნის საზოგადოებრივი წრეები. ბევრი თვალსაჩინო თურქი მოღვაწე და პოლიტიკური მეთვალყურე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ასეთი ინფორმაციის შემთხვევით როდი გამოჩნდა ადგილობრივი პრესის ფურცლებზე.

თურქეთის ეროვნული თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ჰალიუქ ბიულენმა გაზეთ „ბიუნიდანისადმი“ ინტერვიუში განაცხადა, რომ თურქეთში ამერიკული ფრთოსანი რაკეტების სავარაუდო განლაგების ჭორს განზრახ ყრის შეერთებული შტატები, რათა შეამოწმოს თურქეთის საზოგადოებრივი აზრის რეაქცია, თვალსაჩინო დიპლომატმა, პარლამენტის ყოფილმა დეპუტატმა ქიამრან ინანმა აღნიშნა, რომ თურქეთს ვერავინ აიძულებს მისი ნების საწინააღმდეგოდ განალაგონ ამერიკული რაკეტები. ეროვნული თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ჰასან ესათ იშიყმა, რომელიც ქვეყნის ფართო წრეების აზრს გამოხატავდა, ხაზი გაუსვა, რომ თურქეთის ტერიტორიაზე ახალი ამერიკული რაკეტების განლაგებამ შეიძლება კიდევ უფრო მეტად გაამწვავოს ვითარება მსოფლიოში.

● **ავღანეთი**

საპროტესტო ნოტა

ქაბული. **როგორც** **ბახთარის** **სააგენტო** **იუწყება,** **პაკისტანის** **დროებითი** **რწმენეული** **გამოიძახეს** **ავღანეთის** **დემოკრატიული** **რესპუბლიკის** **საგარეო** **საქმეთა** **სამინისტროში,** **სადაც** **მას** **გადაეცა** **საპროტესტო** **ნოტა** **პაკისტანის** **მხარის** **პროვოკაციულ** **მოქმედებასთან** **დაკავშირებით.**

უკანასკნელ ხანს, ნათქვამია ნოტაში, გაბშირდა თავდასხმები და პროვოკაციები ავღანეთ-პაკისტანის საზღვარზე თორხამის საბაჟოსა და ავღანეთის სხვა სამოქალაქო ორგანიზაციების წინააღმდეგ.

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის შეესაბამისი ორგანოების ინფორმაციის თანახმად ამა წლის 18 დეკემბერს ბანდიტთა ჯგუფი პაკისტანის სასაზღვრო ტერიტორიიდან ავღანეთ-პაკისტანის საზღვარზე თორხამის საბაჟოსა და ავღანეთის სხვა სამოქალაქო ორგანიზაციების წინააღმდეგ.

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის შესაბამისი ორგანოების ინფორმაციის თანახმად ამა წლის 18 დეკემბერს ბანდიტთა ჯგუფი პაკისტანის სასაზღვრო ტერიტორიიდან ავღანეთ-პაკისტანის საზღვარზე თორხამის საბაჟოსა და ავღანეთის სხვა სამოქალაქო ორგანიზაციების წინააღმდეგ.

ამ ფაქტებმა, ნათქვამია ნოტაში, ეჭვი ბადებს, რომ ეს ბანდიტები ავღანეთ-პაკისტანის საზღვარზე ავღანეთ-პაკისტანის ადამიანის უფლებათა დამცველი ჯგუფი იუწყება, ამა წლის პირველ ცხრა თვეში სალვადორში მძვინვარე ტერორის შედეგად 4.110 კაცი დაიღუპა.

● **კანადა**

ამხილეს შეთქმულება

ოტავა. **კანადის** **ხელისუფლებამ** **ამხილეს** **შეთქმულება,** **რომლის** **მონაწილენი** **აპირებდნენ** **გაიანის** **პრეზიდენტის** **ფორბს** **ბერნჰემის** **და** **მთავრობის** **მინისტრების** **მოკვლას.**

როგორც ტორონტოში პრესკონფერენციაზე განაცხადეს, დაპატიმრებულია რვა კაცი, მათ შორის ერთი ამერიკელი, რომლებიც ამზადებდნენ გაიანის კანონიერი მთავრობის დამხობას. შეთქმულებს, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ეგრეთ წოდებულ გაიანის კონსერვატიულ პარტიასთან, მისისაგაში (ონტარიოს პროვინცია) რომ არის მოკალაიებული, აღმოუჩინეს 28 ტყვიამფრქვევი, ექვსი ყუმბარსატყორცნი და სხვა იარაღი, მათს გატანას აპირებდნენ ამერიკის მეშვეობით გაიანაში 20-კაციანი ტერორისტული ჯგუფისათვის გადასაცემად.

ბირთვული შანტაჟი ვაშინგტონის პოლიტიკის იარაღია

პრესა ადასტურებს

ბოლოს **ომი** **ევროპაში** **ომ** **ბირთვული** **ომ** **ბირთვული** **ომ** **ბირთვული

საქვეყნიერო საკითხავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსტატობის სამანი



ჩვენი დღევანდელი ნომრის სტუმარი იმ ბედკეთილ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებზეც ამბობენ, „მას საკუთარი ხელწერა აქვს“, „ის განუმეორებელია“, და ამ სიტყვებით გამოხატავენ მოწიწებას ოსტატისადმი, მისი განსაკუთრებულობისადმი.

რა შეედრება სამუშაოზე თავდაჩრილი ოსტატის ხილვას! მისი შთაგონებული სახე, მისი ტრფიალ, თვით შრომის პროცესისადმი, ამ დროს ნათლად და უნებლიეთ რომ ცხადდება, ირგვლივ მყოფთა მოკრძალებას და, რა დასამალია, კეთილ შურსაც იწვევს. ბედნიერია ოსტატი...

ბედნიერია ოსტატი, მაგრამ ძალზე ძნელია სავალი ოსტატობის მწვერვალებისკენ. თვით ნიჭიც, ბუნებით მომადლებული ეს უძვირფასესი განძი, ვერაფერში წაადგება კაცს, თუ თავისი სავალი გზის დასაწყისში ვერ გაუძლო სადაგი დღეების უღიმღამობას, გული ვერ დაუდო ერთფეროვან, დამღლელ ჯაფას.

გზა ოსტატობისკენ — ეს განუწყვეტელი და ყოველწამიერი თვითსრულყოფაა და ეს გზა გაუვლია ყველას, ვინც ახლა საქვეყნოდ არის სახელგანთქმული: მწერალსა და შრომის გმირს, სარდალსა და მუსიკოსს, მხატვარსა და დასტაქარს, ყველას, ვისთვისაც უშორეულად გვემეტება უმშვენიერესი წოდებები — მეტრი, ვირტუოზი, დიდოსტატი.

სამოცი წელი შეუსრულდა ვახტანგ ხუციძეს და ოცდაათ წელზე მეტია მისი სახელი ამ ეპითეტებით მოიხსენიება. მის ხელოვნებაზე ბევრი დაწერილა ჩვენშიც და უცხოეთის პრესაშიც. მის ოპერაციებზე ლეგენდები დადის. „თქვენი წყალობით მე დღეს ყველაზე ბედნიერი ადამიანი ვარ!“, „ვლოცავ იმ დღეს, ქვეყნად თქვენი არსებობა რომ შევიყვენ“... — ეს სასაყვარულო ეპისტოლეთა ფრაგმენტები არ გახლავთ. ამ ბარათებს ექმან ვახტანგ ხუციძეს სწერენ ჩვენი ქვეყნის სულ სხვადასხვა კუთხიდან.

სახელი მან ადრე გაითქვა. ორმოცდაათიანი წლების დამდეგს, როცა თბილისს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ოტოლარინგოლოგიის კლინიკის სახელგანთქმული მეცნიერი სიმონ ხეჩინაშვილი ჩაუდგა სათავეში, იქ ჩინებულ დასტაქართა შორის იყვნენ ნოდარ გვეტაძე, დათო ყიფიანი, ვახტანგ ხუციძე, რომლებსაც შემდეგ ბორის ყიფიანიც შეემატა.

აი, ამ ახალგაზრდების სახელი ეკერა პირზე იმ წლებში ყველას. მათთან მოსახვედრად პაციენტები რიგში იდგნენ, რაღაც მაგიურად ხმიანებდა „უსისხლო და უნაკერო ოპერაცია“, ლამის დაუჯერებელი იყო ისიც, რომ გლანდებამოჭრილი კაცი ოპერაციის დამთავრებისთანავე ლაპარაკობდა და ჭამდა...

ეს ისე, სიტყვამ მოიტანა, თორემ, გლანდები რა სახსენებელია იმასთან, კლინიკაში რომ ოპერაციები კეთდებოდა. თავად პროფესორი იმხანად სმენის ორგანოთა აღდგენის უნიკალური ექსპერიმენტების სერიას იწყებდა, რომლებმაც მას შემდგომ ლენინური პრემია და საერთაშორისო აღიარება მოუტანეს.

ყოველი კარგი ქირურგი, როგორც წესი, პლასტიკოსი ქირურგიც არისო, — მოძღვრადა პროფესორი თავის ასისტენტებსა და მოწაფეებს.

— ქირურგ-პლასტიკოსი კი ცოტა ხელოვანიც უნდა იყოს, — აგრძელებს მის აზრს ვახტანგ ხუციძე — ყველა პროფესია რაიმე ნიჭს მოითხოვს: ერთი — მახვილ თვალს, მეორე — აბსოლუტურ სმენას, მესამე — ნატიფ ვემოვნებას. ქირურგსა და მოქანდაკეს, ამათ გარდა, ზეაღმატებულად მგრძნობიარე თითებიც სჭირდება.

მისი კაბინეტი მხატვრის სალონს ჰგავს უფრო: სკულპტურული პორტრეტები, ბარელიეფები, თაბაშირის ნიღბები, ნახატები... იქ რომ მოხვედები, აუცილებლად იფიქრებ: ამ კაცმა სმახატვრო აკადემიას სამედიცინო ინსტიტუტი რატომ ამჯობინაო?

მაგრამ ეს რომ ვახტანგ ხუციძეს ვუთხარი, იქვე, შორიახლოს მჯდომმა ახალგაზრდა ქალმა (როგორც შემდგომ აღმოჩნდა, მისმა ყოფილმა პაციენტმა) ჩაილაპარაკა: ძალიანაც კარგი, რომ ამჯობინაო!

და ეს ისეთი კატეგორიული და ნაწყენი ტონით იყო ნათქვამი, თითქოს მე, ახლა, ორმოცდასამი წლის წინათ მომხდარი სხეტისი არჩევნის ხელახლა გადათამაშებას ვთხოვდეთ!

სხვათა შორის, თვითონ ვახტანგმა რამდენჯერმე გადასინჯა ეს არჩევანი. მისი ახლობელ-მეგობრები ჯერ იმან ჩააგდო საგონებელში, რომ ხატვისა და ძერწვის ჩინებული ნიჭით დაჯილდოებულმა ყმაწვილმა წლობით ნოაცენბარზე უარი თქვა და სამედიცინო ინსტიტუტში შეიტანა საბუთები. თუმცა ამას გამართლება კიდევ ჰქონდა — ოჯახური ტრადიცია: მამამისი ცნობილი ფარმაკოლოგი გახლდათ. მაგრამ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ექიმობაც აღარ ისურვა და ახლა სხვა ინსტიტუტში — თეატრალურში (!) განაგრძო სწავლა და ამავე დროს მარჯანიშვილის თეატრში დაიწყო მუშაობა სტატისტად (!).

ასე გრძელდებოდა ბარე სამი წელი, ვიდრე ერთ რომელიღაც ბედნიერ დღეს საკუთარ თავს არ აუჯანყდა და მიტოვებულ პროფესიას არ მიუბრუნდა უძღები შვილივით.

აქ მას ორმა დიდებულმა პიროვნებამ უწინამძღვრა: პროფესორებმა დავით თევზაძემ და გიორგი ნაცვლიშვილმა. აღდგენითი ქირურგიის პირველი კაკვეთილებიც მათ ჩაუტარეს. მამინ ამ ოპერაციებისთვის ერთადერთი მასალა სპილოს ძვალი იყო და ახალბედა ექიმს ხელები ერთთავად დასერილი ჰქონდა მისი თლითა და ქერვით.

იმ წლებში შავი სამუშაოც თავსაყრელი ჰქონდა, ავადმყოფის სარეცელთან გატარებული ღამეებიც — დაუთვლელი, ღელვა და შფოთიც საკმაოზე ბევრად მეტი და მაინც იმ წლებს განსაკუთრებული სიყვარულით იგონებს ვახტანგ ხუციძე. იმიტომ, რომ მათ ეკუთვნის მისი პირველი ოპერაციაც; იმ წლებიდან მოსდგამს დაუდგრომლობა და მუდმივი ძიების ენი, რაც თითქოს ყამბა სვლის მიღმა ტოვებს ექვს ათეულ წელს მიღწეულ კაცს.

დღეში ექვსი, შვიდი, რვა ოპერაცია, ამაზე ორჯერ მეტი გადახვევა, კონსულტაციები პაციენტებთან, საკუთარ მოწაფეებთან და მიმდევრებთან... მარტო ამის ყურებით დაიქანცება კაცი.

ნეტავ, მისი დაუღალობის მიზეზი რაღაა? იქნებ, მის განყოფილებაში შექმნილი მიკროკლიმატი? იქ რომ მოხვდები, არც გეჯერება, თუ საავადმყოფოში ხარ, — ისეა დამუხტული გარემო... რით? სიხარულით? ბედნიერების მოლოდინით?

ბედნიერი კაცია ვახტანგ ხუციძე. ორგზის ბედნიერი, ვიდრე სხვა ნებისმიერი დასტაქარი. მისი სკალპელი მარტო სხეულს კი არა, სულსაც კურნავს, სულიერ კომფორტს უბრუნებსო, — ასე ამბობენ ხოლმე ფსიქოლოგები.

ამ საავადმყოფოში მე ვნახე ერთი ქალიშვილი, რომელსაც დაბადებიდან ნაკაპი ჰკლებია და ამიტომ მოწყენილ ჩიტს ჩამოჰგავდა; ვნახე გოგონა, ცხვირის ადგილას მხოლოდ ორი ღრმული რომ მოუჩანდა; ვაკი, რომელიც ღამის თვითმკვლელობამდე მეიღვანა ვეებერთელა, უშნო ყურებს. დიდ ალბომებში, სადაც პაციენტების ოპერაციის წინ და ოპერაციის შემდეგ გადაღებულ ფოტოსურათებს ინახავენ, მრავალი სხვა თანდაყოლილი ძანკი და ავარიებსა და კატასტროფებში დამახინჯებული სახეებიც ვნახე...

ერთი კვირის შემდეგ ვერც ის გოგონები ვიცანი და ვერც ის ყმაწვილი... სამივემ ცალ-ცალკე გამანდო: ხუციძე ჩემი მეორე მამაო.

მკურნალის მისამართით ათასგზის ნათქვამი ეს სიტყვები იმ კედლებში არ შეიძლება გაცვთილად მოგეჩვენოთ.

ამბობენ, ყველა პაციენტი ცოტა შეუყვარებულია თავის მკურნალზეო. ვახტანგ ხუციძეზე შეუყვარებულია ყველა მისი პაციენტი, ასაკისა და სქესის მიუხედავად. ეგანატე ფიფიას სახელობის კლინიგზის საავადმყოფოს აღდგენითი ქირურგიის განყოფილებაში, რომ იტყვიან, მეფეც არის და ღმერთიც.

ავადმყოფთა კონტინგენტი იქ მრავალეროვანია. მაგრამ განსაკუთრებით ბევრნი არიან ჩვენი მოძმე, ამერიკაკავასიის რესპუბლიკებიდან ჩამოსულნი. იმათაც, ჩვენი სიკეთისა არ იყოს, „სამხარეო პათოლოგია“ აწუხებთ, — ზომაზე მეტ-ნაკლებად მოზრდილი ცხვირი.

„სამხარეო პათოლოგია“ ვახტანგ ხუციძის გამოთქმა გახლავთ. ვერა და ვერ შეჰგუებია ეს კაცი იმ უსამართლობას, რომ ჩვენი ერის შვილთა მშვენიერ, მეტყველ თვალებს, ლამაზად მოყვანილ ბაგეს სახის ოვალს ხშირად დიდი და დაღვრემილი ცხვირი „ამშვენებს“. არაა, სახეს გამომეტყველებას, ხშირად სწორედ რომ ცხვირი ანეზებს.

თქვენ როგორი მოყვანილობის ცხვირი მოგწონთ-მეთქი, შეეკითხე.

— კლასიკური, ბერძნულ-რომაული. „ჯიშიანობას“ მატებს სულ პატარა კეხიც. ანტიკური და აღორძინების ხანის მხატვრები სწორად ასეთ ცხვირს ხატავდნენ... მაგრამ ახალგაზრდობას ახლა უფრო მოკლე ცხვირი მოსწონს — ცოტა ზეაწეული, კლასიკურზე ერთი-ერთნახევარი სანტიმეტრით მოკლე. რას იზამ, მოდაა. რამდენიმე წლის წინათ 16-17 წლის გოგო და ბიჭი მომადგნენ. გოგო მეხვეწებოდა, რომელიღაც კინომსახიობ ქალს რომ აქვს, ისეთი პაპუა ცხვირი გამიკეთეთო, ბიჭს სურდა, ბელმონდოსათვის დამემგვანებინა.

— მერე რა ქენით?

— რა უნდა მექნა! ანგელოზებს ჰგავდნენ... ბიჭს ერთი წაეუთაქე და ორივენი გაეყარე.

დიახ, არც ამისთანა ვიზიტორები აკლია, ნამდვილად მძიმე ავადმყოფებთან და ნამდვილად გაჭირვებულებთან ერთად. რით ხელმძღვანელობს, როცა წყვეტს, გაუკეთოს ოპერაცია თუ არა? რა მიაჩნია ნამდვილ კოსმეტიკურ დეფექტად?

— იმის ზუსტად განსაზღვრა, თუ რა არის ნამდვილი „კოსმეტიკური დეფექტი“ ძნელია, რადგან შეუძლებელია დაადგინო ზუსტი ესთეტიკური ნორმა, ოღონდ ერთი კრიტერიუმი მაინც არის: კოსმეტიკურ დეფექტად ჩვენ მივიჩნევთ ფიზიოლოგიური ნორმიდან გადახრას — შეძენილსა თუ თანდაყოლილს, რომელიც ადამიანს საზოგადოებაში თავისუფლად ყოფნას უშლის. და ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი ადამიანის სასიკეთოდ კეთდება, ჩვენი ვალია, მოვაცილოთ მას ყველაფერი, რაც სულიერ სიმშვიდეს უკარგავს.

დიახ, ასეთი შინაარსი შეიძინა ჩვენში პლასტიკურმა ანუ ესთეტიკურმა ქირურგიამ, მედიცინის ერთ-ერთმა უძველესმა დარგმა, რომელიც სულ ცოტა ოცდარვა საუკუნეს ითვლის (სწორედ ამ ხნისაა ებერსის პაპირუსები, რომლებმაც შემოგვინახეს პირველი ცნობები რინოპლასტიკის ანუ ცხვირის აღდგენითი ოპერაციის შესახებ). რატომ მაინცდამაინც ცხვირით დაიწყეს ეგვიპტელმა, ინდოელმა, შემდეგ კი ბერძენმა (ამ მეთოდით ოპერაცია შეგნიდან კეთდება, ასე რომ, ნაკერი და ნაწიბური დაფარულია, არ ჩანს). წლების მანძილზე ხვეწს და სრულყოფს იგი ამ მეთოდს.

მაგრამ მთავარი ოპერაციის ტექნიკის სრულყოფა კი არაა, ის არის, რომ შეიცვალა მეზედულება თვით პლასტიკური ოპერაციის მიზნებსა და ამოცანებზე. წინათ დასტაქარის დანა სახეს რაიმე დეფექტს რომ მოაშორებდა, ხშირად ზედ მიაყოლებდა მის თავისებურებასაც. ახლა ფიზიკური ნაკლის გასწორებას რომ ამირეკენ, უპირველეს ყოვლისა, ცდილობენ, ადამიანის სახეს ინდივიდუალობა არ დაუკარგონ.

— ზოგჯერ მოღუნულ ან კეხიან ცხვირს, რომ ვასწორებთ, ტუჩების და ნიკაპის შეცვლაც გვიწევს. ოპტიმალურ გადაწყვეტას თვით ადამიანის სახე, მისი ხასიათი გვიკარნახებს.

ასე მუშაობს ვახტანგ ხუციძე და ასე ზრდის ახალგაზრდებსაც. ალეკო ხელაშვილი ჩინებულ ოპერაციებს აკეთებს, მას კვლაფი უდგანან გელა გელაშვილი, თემურ გასვიანი, მანანა საყვარელიძე.

მათი მოძღვარი მუდამ ჰარმონიას ეძიებს, რადგან სწამს: სილამაზეს ჰარმონიაშია. „სილამაზეს აქვს ნიჭი და ძალა — სიმშვიდე მოჰგვაროს ადამიანთა გულებს“ — მწერლის ამ სიტყვებს ხშირად იმეორებს კაცი, რომელსაც განგებამ ასეთი ხელობა უბოძა — სილამაზის მომნიჭებელი.

მაგრამ მარტო ნაბოძებით რას გახდები? და ისიც სულ შრომასა და ძიებაშია. ბევრ რამეს ემპირიულად მიაკვლია — რა ექნა, ყელ-ყურა-ცხვირის ორგანოთა პლასტიკურ ქირურგიას ჩვენში ჯერ დიდი გამოცდილება არ დაუგროვებია.

ის გატაცებით ადევნებს თვალყურს ჩვენი ქვეყნის სხვა სპეციალისტების მუშაობას, ურთიერთობა აქვს საზღვარგარეთელ მედიკოსებთან. ტურისტული მოგზაურობის მარშრუტებსაც ისე არჩევს, რომ იმ ქვეყნებში მოხვდეს, სადაც მისი პროფილის დაწესებულებებს თვალსაჩინო მიღწევები აქვთ.

მან მოინახულა კოსმეტიკური ქირურგიის ინსტიტუტები და სამკურნალოები ჩეხოსლოვაკიაში, იაპონიაში, საფრანგეთში, მექსიკაში. აღფრთოვანებულია პრაღის ესთეტიკური ქირურგიის ინსტიტუტის წინამძღოლის აკადემიკოს ბურიანის მუშაობით.

მიამბობს: ტოკიოს ერთ-ერთ უდიდეს კოსმეტიკური ქირურგიის დაწესებულებაში ყველა თანამშრომელ ქალს თვალის ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული („ელემენტარული ოპერაციაა: პატარა კუნთს ჩაჭრიან და თვალის გუგა გამოჩნდება. სადღაა ის ვიწრო ჭრილი!“). მექსიკაში ოპერაციას დასწრებია: ქალიშვილისთვის, რომელსაც ბავშვობაში პოლიომიელიტი გადაუტანია, მთლად გალეულ ფეხებში კანქვეშ სილიკონის მასა შეუშაპუნებიათ.

—ჩემ თვალწინ თითქოს სასწაული მოხდა... ახლა იაპონელებმა უფრო თხელი კოსმეტიკის სილიკონი დაამზადეს და ოპერაციაც უფრო გაიოლდება. რა პერსპექტივებია, რა პერსპექტივები!

სხვისი წარმატებით ასე ბავშვივით რომ ხარობს, საკუთრივ დათესილი სიკეთე როგორ გუნებაზე დააყენებს?

— ჩემს ახლო მეგობრებს ქალიშვილი ჰყავდათ. შეუხედავი იყო. ნაკლი? — „სამხარეო პათოლოგია“. ლექციები და სახლი — სხვაგან არსად დადიოდა. ის კი არა, სტუმრებთანაც ვერ გამოჰყავდათ. გულჩათხრობილი იყო, ახლანდელი ტერმინოლოგიით — არაკომუნიკაბელური, არასრულფასოვნების კომპლექსებით შეპყრობილი. ქალისა ნამდვილად არაფერი გაიჩნდა... ძლივს დაითანხმეს შობლებმა ოპერაციაზე. სულ პატარა კორექტივი შევიტანე... ის რომ საავადმყოფოდან გავწერე, დაახლოებით ერთი თვის შემდეგ გრიბოედოვის ქუჩაზე მომიხდა მანქანით გავლა. სამხატვრო აკადემიის შენობიდან გოგო-ბიჭები გამოვიდნენ. ერთი გოგონა წინ მოუძღოდათ და მასში ჩემი პაციენტი შევიცანი. რაღაცას ჰყვებოდა, მერე ხელი ასწია, გადაიკიცინა. როგორი ლაღი იყო, ქალური მომხიბვლელობით აღსავსე!... მანქანა შევაჩერე და იქამდე ვუყურე, ვიდრე თვალს მეეფარა.

...თაროზე უცხოური ჟურნალები აწყვია. ერთ-ერთს ვფურცლავ. ფინურ სქელტანიან, კარგად ილუსტრირებულ ჟურნალს გვერდიგვერდ მოუთავსებია წერილები ვახტანგ ხუციძისა და ჩვენი ეპოქის გამორჩეულ დასტაქარზე ქრისტიან ბერნარზე.

ფინურის, ცხადია, არაფერი გამეგება, მაგრამ ტექსტში ერთ ციფრს კი ვარჩევ — „15.000“. ეგ ციფრი რას უნდა ნიშნავდეს-მეთქი? — ვეკითხები ჩემს მასპინძელს.

— აქ რომ იყვნენ, ჟურნალისტებმა გამომკითხეს, რამდენი ხანია მუშაობთ და დღეში დაახლოებით რამდენ ოპერაციას აკეთებთო. მერე, როგორც ჩანს, თვითონ დაუანგარიშებიათ...

— მას აქეთ ალბათ კიდევ ბევრს გაამეფნიერებდით...

ეღიმება: — ალბათ.

— ჰოდა, — ვაჯამებ, ამდენი გალამაზებული, გალაღებული ადამიანი, საქვეყნო აღიარება... მაგრამ, იქნებ სადღაც გულის კუნჭულში, გწყინთ, რომ თქვენი გვარისა და სახელის გასწვრივ „მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი“, თუნდაც „კანდიდატი“ არ იწერება?

— კეისრისა კეისარსა... ალალი და დაუშალლებელი იყოს ყველასათვის ეგ წოდებები. ერთადერთი, რაზეც კაცს გული უნდა სწყდებოდეს, ისაა, რომ მხოლოდ ერთხელ ვცხოვრობთ და ყველა ჩვენს ჩანაფიქრს ასრულება არ უწერია. დროში ვერ ვიტევთ...

• • •

—ამ კაცსაც გული სწყდება?..

— ვფიქრობდი რედაქციისაკენ მომავალი, — აი, კიდევ ერთი უექველი დასტური იმისა, რომ ოსტატისთვის არ არსებობს საზღვარ-სამანი. რაც მეტი იცის თავის საქმეზე შეყვარებულმა კაცმა, მით უფრო მეტის ცოდნა სწადია. რაც უფრო მაღლა აჰყავს პროფესიულ ოსტატობას, მით უფრო ვრცელი თვალსწვერი ეშლება და ისიც სულ შორეული მიჯნისკენ ინტვის. მიაღწიეს კი ალმოაჩენს, რომ, თურმე, ის, რაც ადრე ზღვარი ეგონა, ზღვარი სულაც არ ყოფილა! და რომ იქ მხოლოდ ახალი გზის დასაწყისი.

მხოლოდ დასაწყისი.

ნანული გარათაშვილი.

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი

ცეკვავენ სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტები ნინო ანანიაშვილი და ანდრის ლიეპა.

მ. როსტომაშვილის ფოტო.

ხელმარჯვე ოსტატები

უამრავ ლაზათიან და ლამაზ კომპოზიციას, დეკორატიული სანთლების მოდელებს ნახავთ ხალხური ოსტატების ცოლ-ქმარ მონიკა და დავით შატბერაშვილების სახელოსნოში.

ბუნების სიყვარული, საოცრად დაკვირვებული თვალი, ფერების ფაქიზი გრძნობა — იქნება სწორედ ეს იყოს მათი წარმატების ერთ-ერთი მიზეზი. აქ შეხვდებით ბალახებსა და მინდვრის ყვავილებს, რომლებიც შერჩევით დაუკრეფიათ, შემდეგ კი გაუხმიათ და ხაგანგებო შედგენილობით დაუმუშავებიათ.

ყოველივე ეს გასაოცრად არის შერწყმული დეკორატიული სანთლების მხატვრულ კომპოზიციაში და ინდივიდუალური და თავისებური ხელოვნების ენით მეტყველებს.

სურათზე: მონიკა და დავით შატბერაშვილები.

შ. კრიმსკის ფოტო.

ფიგნის თარო

მითოლოგიური ლექსიკონი

ხელნაწერშივე გავეცანი აკაკი გელოვანის მორიგ ნაშრომს — „მითოლოგიურ ლექსიკონს“. სერიოზული საჯილდაო ქვა გახლდათ და სიამოვნებითაც შევასრულე გამომცემლობის თხოვნა, დამეწერა რეცენზია, რომლის ძირითად ნაწილსაც გთავაზობთ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ ამ ლექსიკონის სახით უთუოდ კარგი საახალწლო ნობათი მოუმზადა მკითხველ საზოგადოებას. ჩვენს ხელთაა ხატოვანი ენით დაწერილი ათასობით მითოლოგიური სახელის ცნების, ფრაზის, ტერმინის ვრცელი თუ მოკლე განმარტება, უამრავი ათეისტური მასალა, რელიგიის ისტორიის რიგი საკითხების მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერულ ასპექტში მოცემული ახსნა. უნდა ითქვას, მართლაც რომ შესაშური კეთილსინდისიერებითა და ბასუხისმგებლობის გრძნობით არის შედგენილი ეს 720-გვერდიანი ლექსიკონი, რომელიც წვრილი შრიფტის, ლაკონიური სტილისა და შემოკლებათა მეოხებით ორი-სამი ტომის მასალას იტევს. წიგნის ბოლოს ავტორი ცალკე დამატებების სახით გვაძლევს ამოუწურავი მასალის გამარტებას, რასაც კიდევ უფრო ხელმისაწვდომს ხდის სათანადოდ შერჩეული ფერადი და შავ-თეთრი ილუსტრაციების ჰარმონიული შეხამება ტექსტთან. წიგნში ასობით ისეთი სურათია, რომელიც მკითხველთა ფართო საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევს. უცხო ენისა და ხელოვნების ცოდნა ავტორს საშუალებას აძლევს გაითვალისწინოს ამ სახის ნაშრომისათვის საჭირო ყველა მხარე და გააკეთოს ის, რასაც ჩვეულებრივ მთელი ჯგუფი, ანდა ავტორთა კოლექტივი აკეთებს ხოლმე. ეს ქმნის სტილის, გემოვნების, ხასიათის მთლიანობას და ზრდის კიდევ ინტერესს ჩატარებული შრომის შედეგისადმი.

არ შემძლია პატივისცემით არ აღვნიშნო ავტორის საოცარი რეფერენსი, ის ტიტანური შრომა, რომელიც მას გაუწევია. სკრუპულოზურად შეუჯერებია თითოეული სალექსიკონო ერთეული. განმარტებისას მოხმობილია მდიდარი ფაქტობრივი მასალა და სპეციალური ლიტერატურის მონაცემები ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე. გამოყენებულია როგორც ცხობილი ლექსიკონები და ენციკლოპედიები, ისე მითოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიებიც. შექმნილია უთუოდ საინტერესო საცნობარო წიგნი, რომლის საჭიროება განუზომლად დიდია.

ლექსიკონები და ცნობარები ჩვენში ჯერ კიდევ ერთობ ცოტაა. ვერ ვიტყვი, ამისთანა წიგნების გამოცემას ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდეს. არა, ამის თქმა არ შეიძლება, მაგრამ ის, რაც მკითხველმა უკვე მიიღო ან იბეჭდება, არ კმარა, ვერც ჩვენს შესაძლებლობას ესახავს და ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. დღეს კიდევ უფრო მწვავედ იგრძნობა საცნობარო ლიტერატურის ნაკლებობა. ამჟამად, როცა ნიაღვარივითაა მოზღვავებული ახალი ინფორმაცია ცოდნის ყველა დარგში, საცნობარო წიგნებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეიჭვება. მით უმეტეს ეს ითქმის მითოლოგიაზე, რომელიც არა მარტო ცოდნის ერთი, არამედ კულტურისა და მეცნიერების მრავალი დარგის ათასობით მუშაკის საერთო ინტერესის საგანს შეადგენს. და ამიტომაც ჭეშმარიტად შესაშურია აკაკი გელოვანის გარჯა. მის ახალ წიგნს, რომელიც ამდიდრებს ჩვენს საცნობარო ლიტერატურას, მკითხველი უეჭველად ცხოველი ინტერესით შეხვდება.

„მითოლოგიური ლექსიკონი“ შედგენილია სწორი გეგმითა და ლექსიკოგრაფიის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი ორი ღირსება: ჯერ ერთი, მას ამშვენებს ძველი და გვიანდელი ფუნჯის ოსტატთა ცხრაასამდე ნაწარმოების ფოტოილუსტრაცია, რაც თავისთავად საცნობარო ინფორმაციას გვაწვდის და მკითხველს აცნობს ბრწყინვალე ქმნილებებს, მათს ადგილსა და მნიშვნელობას ხელოვნებაში, მეორეც, ლექსიკონში შეტანილია ქართული მითოლოგიის ამსახველი ძვირფასი მასალა. ყურადღებას იქცევს ცნობები სვანურ, მეგრულ, ფშავ-ხევსურულ მითებზე. ავტორი კარგად იცნობს ქართველურ მითოლოგიურ სამყაროს და მართებულად მსჯელობს მასზე. ცოცხლად იკითხება სალექსიონო ერთეულები და სტატიები: ამირანი, აფსათი, ბეთქილი, დალი, ადგილის დედა, ალი, ირმაზი, ელია, კოპალა, იახსარი, აშეკალი, ოჩოპინტრე, ჯგირაგი, მეფაცხი და ა. შ. ასე რომ, ნაკლებად ცნობილი მასალა პირველად ხდება ხელმისაწვდომი მკითხველთა ფართო წრისათვის და სწორი ინფორმაცია გვეძლევა როგორც თავად მითების, ისე მათი წარმომავლობის, ტრადიციებისა და ლოკალიზაციის შესახებ.

ნაშრომი ძირითადად ენციკლოპედიური ხასიათისაა, რაც კიდევ უფრო ზრდის მის ღირსებას.

ამოდენა ნაშრომს ნაკლიც, ცხადია, ექნება, მაგრამ უნაკლო წიგნი და ისიც ლექსიკონი, ძნელად მოსაძებნია, ვისაც უშუალოდ არ უმუშავია ლექსიკონის შედგენაზე უთუოდ გაუჭირდება ლექსიკოგრაფის შრომის შეფასება, ხოლო ის, ვინც მეტ-ნაკლებად მაინც გათვითცნობიერებულია ამ საქმეში, დარწმუნებული ვარ, აღალი გულით შეაფასებს აკაკი გელოვანის ამ დიდ ღვაწლს, ასე რომ, ნაკლისათვის ლექსიკონი არ დაიწუნება, ნაშრომი უნდა შეფასდეს მთლიანობაში. აკი თვით დიდი საბაც თავისი ლექსიკონის თაობაზე ბრძანებდა: „ერთისა და ორის კლებისათვის ნუ დაიწუნებთ, სრული გვიან საპოვნელია“.

ალექსანდრე ღლონტი.

საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

ᲧᲐᲑᲐᲮᲘ

საბურნირო ორბიტა

ბაღდათი. ტალინში მიმდინარე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის (პირველი ლიგა) მეთოთხმეტე ტურიდან გადადებული პარტია თბილისელმა ე. უბილავამ ჰუსეინოვთან გამარჯვებით დაასრულა. 14 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში იყვნენ დორფმანი, ფსახისი — 9-9 ქულა, ბალაშოვი, გულკო, კორბუზოვი, ლერნერი, მალანიუკი და ხარიტონოვი — 8-8 ქულა. უბილავას 7,5 ქულა ჰქონდა.

ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲘ. მოსკოვსა და ლენინგრადში გრძელდება საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის შეხვედრები. გთავაზობთ ტურის შედეგებს: **მოსკოვი**/ კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია (ბაქო)-მოსკოვის „ტორპედო— 7:10, თბილისის „დინამო“-კიევის „დინამო“ —12:14, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბი-მოსკოვის უნივერსიტეტი — 11:10; **ლენინგრადი.** ტაშკენტის „მეზნატი“-მოსკოვის „მოსკვიჩი“ — 6:7, ლვოვის „დინამო“-მოსკოვის „დინამო“ — 2-9. სამი ტურის შემდეგ შეჯიბრებას ერთიანიერთეულად ლიდერობდა-ცენტრალური სპორტკლუბის გუნდი — 6 შესაძლებლიდან 6 ქულა. თბილისის დინამოელებს ჯერ ერთი ქულაც არ მოუპოვებიათ.

• •

ეძებენ „ოქროს ქალღმერთს“

ბრაზილიაში გრძელდება ძებნა „ოქროს ქალღმერთისა“, რომელიც ახლახან მოიპარეს რიო-დე-ჟანეიროში ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის შტაბ-ბინიდან. ჯერჯერობით ძებნას სასურველი შედეგი არ მოუტანია. რიოს პოლიციამ, მართალია, შეძლო ფეხბურთის კონფედერაციის ორი თანამშრომლის დაკავება, რომლებიც ეჭვმიტანილი არიან ბრაზილიის ფეხბურთის რელიკვიის მოპარვაში, მაგრამ დაკავებულმა უარყვეს ხელისუფალთა ბრალდება და პოლიციას ვერ დაუხმარნენ გამტაცებელთა კვალის მიგნებაში.

ქვეყანაში იზრდება აღშფოთება ფეხბურთის კონფედერაციის მიმართ. რომელმაც „ვერ შეძლო ბრაზილიის ეროვნული საკუთრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა“.

ბრაზილიის იუსტიციის მინისტრმა იბრაიმ აბა-აკელმა განაცხადა, რომ პოლიციას ყოველნაირად დაეხმარება ამ საქმის გამოძიებაში. რიო-დე-ჟანეიროს შტატის ცენტრალური ბანკი 5 ათას დოლარს დაჰპირდა ჯილდოდ ყველას, ვინც „ოქროს ქალღმერთის“ კვალის მიგნებაში დაეხმარება.

• •

ჯერ „მინი“, შემდეგ „მაქსი“

ფეხბურთში 1986 წლის მსოფლიო პირველობის მასპინძელი მექსიკა აპირებს ეს უმნიშვნელოვანესი შეჯიბრება დაიწყოს თავისებური „უვერტიურით“. 1985 წელს აქვე განხრახულია მეტად საინტერესო „რვათა ტურნირის“ მოწყობა. აქ გამოვა ევროპის სამი უძლიერესი ნაკრები (სავარაუდოა ევროპის 1984 წლის ჩემპიონატის პირველი სამი პრიზიორი), შემდეგ ბრაზილიისა და არგენტინის ნაკრები გუნდები, თითო საუკეთესო ნაკრები აზიიდან და აფრიკიდან. მერვე გუნდი, ცხადია, მასპინძელი მექსიკის ნაკრები იქნება.

რედაქტორის მოადგილე
ბ. ნაბუღეშია.

„საქართველოს ქალი“ № 12

გამოვიდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალის „საქართველოს ქალის“ მორიგი, მეთორმეტე ნომერი, რომელიც იხსნება მ. ბარათაშვილის წერილით — შენი სიმდიდრე.

ამავე ნომერში. თქვენ გაეცნობით წერილებს: ლ. კაკაბაძის — „საპოვნელები“; ა. გელოვანის — დავითიანების დიდი ოჯახი; შ. ამონაშვილის — „...უდიდოდ გაზრდა ვინა თქვა შვილისა; ი. ტუკავის — მარინე ჯანაშია; დ. სოზაშვილის — თამარა ბაბო; ე. ჯაფარიძის — საყურე. აქვეა გამოქვეყნებული მ. კერესელიძისა და ვ. წერეთლის ლექსები.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „ჩვენი ინტერვიუ“, „გახსენება“, „ვულოცავთ!“; „ქალი რომ ჯანმრთელი იყოს“; „რჩევები“.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

25 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები. 9.20 — დოკუმენტური ფილმები. 10.00 — კონცერტი. 10.30 — მაღვიძარა. 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — ჯანმრთელობა. 12.45 — დილის ფოსტა. 13.15 — შეხვედრები სა